



თეატრი სსსრკებში

ათეატრულ ხალისებზე და სხვა

კვირა, 28 ივნისი | მიიღება ხალისებზე 1915 წ., თეატრი და სსსრკებში | № 26 — 1915

ქართულ მკვლევართა ნომერი



სახალხო მოღვაწე მომღერალი — აშული
ალი-ჩაუშ მისირ-ოღლი — მოსიძე თავისი შვილი-შვილებით
(აშულია აკადემიკოსი ნ. მარის წიგნიდან)

წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი

➤ **ქართველ მაჰმადიანთა** შესახებ ქართველი საზოგადოების მოწინავე პირთ განუწრხაბეთ დაწერილებითი მოხსენება წარუდგინონ უმაღლეს მთავრობას.

➤ **ქართული სახელმწიფო საზოგადოების** დავალებით ქართული ჟურნალ-გაზეთების „სახალხო ფურცლის“, „თანამედროვე აზრის“, „თეატრი და ცხოვრების“, „საქართველოს“, „ჯეჯილის“, და სხ. წარმომადგენელთა გადასწევიტეს გამოსცენ „აჭარელთა გაზეთი“, რომლის შემოსავალი გადაეცემა ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ. გაზეთი გამოვა 15 ივლისამდე. სარდაქციო კომისიაში აირჩიეს: ს. ფერხადიძე, ვ. ცინცაძე, კ. პ. თუმანიშვილი, პ. სავარდუაძე და ს. კვლია.

➤ **თავ. იმე. ბრ. ჩოლოქაშვილმა** იკისრა თავისი ხარჯით აღზარდოს ქართველ მაჰმადიანთა ორი ობოლი — ძმანი დიასამიძენი.

➤ **ქართველმა ქალიშვილმა** ეს ერთი თვეა თბილისში, გოლაიჩინის პრისაკეტეტე სანიე და სხვა სასმელ წყლების სავაჭრო გააღეს „მური ნეგის“ სახელით, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა ოჯახებს. სავაჭროში მორიგეობით მასპინძლობენ ქართველი ქალ-მანდილოსნები. სავაჭროს დიდალი მუშტარი ეტანება.

➤ **ჩვენი ცნობილი მწიგნობარი** ზ. ტიტინაძე პეტედაეს წიგნს (ზეპირ გადმოცემებით შეკრებილ ცნობებს) ქართველების გამაჰმადიანება*, წიგნი 200 გვერდამდე იქნება და ივლისში გამოვა.

➤ **ქართული წიგნთსაცავ-სამართლებრივ** დაარსებულმა მხოლოდ ქობულეთში, 1913 წ. უმათერესად ლეონიდ ეპისკოპოსის-მეორე შეწირული წიგნებით. ამ წიგნთსაცავ-სამართლებრივს გამგეა გულოლა კიკიაშვილი.

➤ **დაზარალებულ აპარაღთა** და ერთობ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ ქართულ გაზეთების „სახ. ფურცლს“, „თანამედროვე აზრის“, „თეატრი და ცხოვრების“ და სხ. რედაქციებში დღემდე შემოწირულება შემოსულა დაახლოებით 10,000 მ.

➤ **გამორკვეულ-დაგვრულ** ქართველ მაჰმადიანთ ქართულმა საეკლემიკემლო საზოგადოებამ დღემდე შემდეგი შეშწიება აღმოუჩინა: ჯერ-ჯერობით გაუგებენა სამი ვაგონი სიმინდი, სამეურნეო იარაღები, სხვა და სხვა საოჯახო ნივთები და ფული, რომლის რაოდენობა განსაზღვრული არ არის. სიმინდს კიდევ ღანდთან უგზავნის. ამავე საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ თავის მხრივ შეიძინა 5 ვაგონი სიმინდი მაჰმადიანთ შორის დასარიგებლად.

➤ **მოწოდება გამოსცა** ქართ. საეკლემიკემლო დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ერთ დღეს გაზეთ-ჟურნალის გამოცემის შესახებ და ყველასა სთხოვს, განსაკუთრებით დაზარალებულის ინტელიგენციას და აგენტებს, ამ გაზეთის ერთ დღეს გაგველემის საქმე დროით მოაწვიონ, რომ რაც შეიძლება ბევრი გაიყიდოს. ცნობისთვის უნდა მიმართოს: Тифлись. Дворяная, д. Сараджева 6, Вас. Рос Кипіани

➤ **პ. ხაპავარიძემ** და **პ. მამუბარაძემ** ქრ. საეკლემიკემლო დავალებით ამას წინად მოიარა ეს დაზარალებულ აპარის სოფლები და ფრიალ საეკლემიკემლო მოხსენება წარუდგინეს საზოგადოების გამგეობას.

➤ **ქართველთა შორის წიგნ-ქართული გამავრცელებელ საზოგადოებას** განუწრხაბეს ქართული სკოლები დააფუძნოს ქართველ მაჰმადიანთა შორის.

➤ **დღემდე ქართველ მაჰმადიანებში** არა ქართული სკოლებია, რომლებშიც მხოლოდ თურქულ-არაბულსა და რუსული ენით ასწავლიან, ქართული კი ვანდენილი იყო. ახლა უკვე თით ხალხი თხოულობს საშობლო ქართული ენით სწავლის შემოღებას.

➤ **ქართველ მაჰმადიანთაგან** თბილისის და ბათუმის გიმნაზიებში ამ ჯამად სწავლობს ოცდაათამდე ყმაწვილი.

➤ **კრძალვისაგან** რადგან „თეატრი და ცხოვრების“ ეს წიგნები სრულიად ქართველ მაჰმადიანთ ეძღვნა, ამიტომ მორიგი მასალა შემდეგისთვის გადაიღო.

➤ **ამ ნომრისთვის დაგვრებული** მასალები: „განდემილი“, შ. ხონელისა, „საშობლოს სიყვარული“ ილ. ნებეძირელისა, „შეშლილი“, ს. ერთაშვილისა, „ბაასი აპარელთან“, ტრ. ინასარიძისა და სხ. უაღვილობის გამო შემდეგი ნომრებისთვის გადაიღო.





№ 26

წელიწადი
8 მ ს ა 8 მ

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის სტამბაში“. მისამართი: **თიფლისი** რედ. „Театри да Цховреба“ I. Имедავილი

ხელ-მოუწერელი წერილები არ დიბეკდებან. — ხელთაწერები საქართვებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება, სორაპანის სტამბის კანტრაში — დღით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 26

კ ვ ი რ ა, 28 ი მ ე ი ს ი

1915 წ.

28 ი მ ე ი ს ი

სულმა სუ-
ლი იცნო

„ნაგუბარში ჩადგე წყალო!“ —
ოუახროდ არა მღერის ჩვენი
ხალხი...

ამ სიტყვების სიბრძნე საუკუნოებით გამოიქვდა, რადგან შორეულ წარსულიდან მოყოლებული ქართველთა ცხოვრების წყალი ხშირად იღვრებოდა, ბუნებითი კალაპოტს გადასცდებოდა, თითქო „გუბე შრებოდა“ კიდევ, მაგრამ ბოლოს მაინც თავის კალაპოტს იპოვინდა ხალხმე: ნაგუბარში წყალი ჩადგებოდა...

სწორედ ისტორიის ჩარხის ასეთმა ტრიპლიმა გააკეთა ჩვენი ერი... შოთამ ტყუილად კი არ გვიმობღვრა: „ჟიანს შაგან გამაგრება ისე უნდა, ვათ ქეთაქონს“ —
ო!

ჩვენც უძღვდებით ათასნაირ ქირ-ვაებას და, დროებით აზრ-დაკარგულნი, ერთმანეთს მოწყვეტილნი, ბოლოს თავის თავს ვსცნობდით, შევიკრიბებოდით „ერთად მოყმე და მსცოვანი“, რადგან შევიგნებდით რომ ერთად მცხოვრებნი ძლიერნი ვიყავით, განცალკევებულნი კი დასუსტებულნი, ნაძრახი სიცოცხლით მლოდავნი და ვრწმუნდებოდით, რომ „სჯობს სიცოცხლეს ნაძრახს, საკვდილი სასჯელავანი“...

მრავალ საუკუნიანმა აშკარა თუ საიდუმლო ომ-ბრძოლამ, შინა თუ გარე მზაკერულმა მოქმედებამ საქართველო დაჰკუსა, დაანაწილა, ქართლოსიანთა შეილნი დაჰფანტა...

ვის ქვეშევრდომად და რომელ სარწმუნოების აღმსარებლად არ გამოვიდნენ ქართველთა ძენი: ოსმალთ, სპარსთა და სხვათა!..

ქართველი მაჰმადიანები, ქართველი სპარსელები და... ქართველი რუსებიც...
სად არ არიან..

სამშობლო კერას მოწყვეტილნი, თავგზა დაკარგულნი...

ერთი ნაწილი ოსმალთ მოგვწყვეტია, მეორე — რუსეთს შეუერთდა თავის ნებით, ჩამდენიმე ასი ათასი ქართველობა — სპარსელებმა გადირეკეს...

მაგრამ აღმართს დაღმართი ჰქონია: საუკუნოებით განშორებულნი ქმანი დღეს ერთმანეთს ვუბრუნდებით, ერთმანეთსა ვსცნობთ...

და რაც უფრო სწრაფად მოხდება ჩვენი ურთიერთის ვაცნობა-შეგნება, მით უფრო ჩქარა ელირდება ჩვენი სამშობლო ბრწყინვალე დღეს.

მაგრამ ნუ ვინ იფიქრებს, თითქო ჩვენი გაერთიანება ზვიდან შეიძლებოდეს...

დღემდე თუ ის ვერ შესძლეს, რომ სარწმუნოებით მაჰმადის მიმდევარნი ეროვნულად მოეკლათ და დღეს სულმან სული იცნო, არც ის შეიძლება, რომ მხოლოდ ცალიერი სურვილით ზვიდან შეიძლებოდეს მთელი ერის ამოძრავება...

თვით ხალხმა — როგორც ქრისტიანმა ისე მაჰმადიანმა ქართველმა ხალხმა — უნდა გამოიღოს თავი ურთ-ერთთან დასახლოვებლად... ამისი მთავარი გზა-კი კულტურული მუშაობაა...

ქართული სკოლების გახსნა, ქართული მწიგნობრობის გავრცელება, ქართული თეატრის დაარსება, — ი გზა და ხიდი...

თეატრი და მწერლობა, — ორი უდიდესი მამოძრავებელი ძალა, რომლებიც...





სულ საუკუნეში საღათას ძილისაგან გამოაფხიზლა ქართველი ხალხი, ვათვითცნობიერა და საკუთარ ცხოვრების გზაზე გამოიყვანა...

ამასვე შესძლებს თეატრი და მწერლობა ქართველ მაჰმადიანთა შორის, მხოლოდ საქმის გაძღოლა თვით ადგილობრივმა ძალებმა—შეგენებულმა პირებმა და ხალხმა უნდა იკისრონ...

რაც უფრო სასტიკია შევიწროვება, დაე, მით უფრო მტკიცე იყოს წინააღმდეგობა სამშობლო მიწა-წყალზე დასადგომად, თვისი ეროვნული ვინაობისა და ენის შეინარჩუნებულადა და განსაძლიერებულად...

სულმა სული იცნო და მაშ შევიტკობთ ყურთი-ერთნი...



უქმად არ ვაჰქრება!..

თვითარსებობისთვის დანთხეული მაშაპათა უმანკო სისხლი უქმად არ ვაჰქრება!..

არ ვაჰქრება მრავალ საუკუნეთა უწინარეს შექმნილი ქართული ეროვნული კულტურა, რომლის ნაშთი დღეს გულსაკლავად გამოიყურებიან ქოროხის მიდამოებში..

და აკი არც ვაჰქარა!..

დღესაც თვალწინ მიდგას თეთრწყვრა, ნათლა ქობულეთელი მოხუცი, რომელმაც ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა მ თებერვალს ერევნის მოედანზე, აკაკის ცხედრის წინაშე!..

ეს იყო გულო ალა კაიკაციშვილი!

სიტყვა მისი გულისგულიდან იყო აღმომსკდარი, მთელ გამაჰმადიანებულ ქართველთა გულის ნადები...

— თქვენნი ძმები ვართ, შავ დროთა წყალობით თქვენგან მოუყვეტილნი, ხელი გამოგვიწოდეთ, გვიშველეთო!..

დღესაც ყურში უწვიის ყოველ ქრისტიან ქართველს თავის მაჰმადიან—ქართველი ძმის სიტყვა...

და ქრისტიანი ქართველი არ მოისვენებს, სანამ ფეხზე არ წამოაყენებს დღეს წაბორძიკებულ თვის ძმას და მით თვითონაც წელში არ გასწორდება...

არ ვაჰქრება სულმანთ შოთა რუსთველის, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინ-

დელთა და სხვათა წარმომშობელი დიდებული მესხეთი, ძველი ტაო-კლარჯეთი, ჩვენის კულტურის პირველი აკვანი..

კვალად ამეტყველდება ენა მათი, ოქროპირული სიტყვა მათი, მათი, რომელთაც ქართლი განაზრწყნის და ქართლოსიანთა ძეთ მრავალ-საუკუნეთა განმავლობაში ეროვნულ ნიადაგზე ვათვითცნობიერების მალალ მისწრაფებათა აკვანი ურწვიეს...

მოახლოვდა უამი ჩვენის განახლებისა...

დადგება დრო და, ძმანო ქართველ მაჰმადიანო, თქვენს შევიწროებასაც ბოლო მოეღება!

თუ ლამეა—დღეც იქნება, უტკველად გათენდებაო!—ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი დრამატურგი ი. გედევანიშვილი ერთი გლეხის პირით...

და ეს მაშინ იქნება, როდესაც თქვენც დაუბრუნდებით დედა-სამშობლოს, მისი ძუძუთი ისაზრდოებთ, მისს მკერდს მაგრა ჩაებლავუქებით, სიკოცხლით და სიკედლით..

ერთობის მქადაგებელ წინაპართა ანდერძი უქმად არ უნდა ვაჰქრეს...

და არც ვაჰქრება!..

სალამი ჩვენს ძმებს—ქართველ მაჰმადიანებს და ჩვენი ერის გამთელების პირველ მერცხალთ!..

იოსებ იმედაშვილი



აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი

გონიერი, ტკბილი მოქართულე ხოჯა; ჯერ კიდევ ოსმალთ ბატონობის დროს, მესამოცე წლებში, ჯაშუში ქართულად ჰქადაგებდა და „ყურანსაც“ ქართულად უხსნიდა მრევლს, რის გამო სტამბოლს გაიხმეს და სამართალში მისცეს, მაგრამ თავი იმართლა: „ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართულიაო.“ 1879 წ. შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ქართ. მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლების წინააღმდეგ და მათი გადახვეწა შეაჩერა.



გ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი

ანუ

გაგაგაღიანებული საპარტიველო

ეგულას ჰირზე აჭარას აკერია. ბეგრსა ჰგო-
ნია, რომ მარტო აჭარას დაზარალდა და დაიღუპა.
ეს შედგომა და საჭიროა ამ შედგომის გასწო-
რება, აჭარას მხოლოდ ერთი კუთხეა ქართლისა
ანუ გამაღიანებულ საქართველოსი.

საოცრად გვიუყვანს ჩვენის სამშობლოს და-
წიწვნა, დაუღუპა და შემოკლას სხვა და სხვა სა-
ხელებით. ეს, რასაკვირველია, ნაშთია ჩვენი
ჩრდილისა, ისტორიისა.

ერთმთავრობას აღმადგინად უყურებდნენ
ჩვენი წინაპრნი და უფიქროსი კუთხე იმის შეცა-
დნუბაში იყო, რომ სახელი არ მოშლიდა, არ
ჩამოღდა. საერთო სახელი „საქართველო“ თით-
ქმის მუღამ ჩრდილ მიუყენებელი იყო ამ ახარე-
ბელ სახელწოდებით.




ხოჯა ციციძე

ქართველ მაჰმადიან
ხოჯებში შეგნება-
განვითარებით პირ-
ველი ადგილი უჭი-
რავს და ნამდვილ
ქართველ ხოჯად
ითვლება.



ზ. ჭიჭინაძე
ქართველ მაჰმადიანთა
ამბების აღმწერი.



სამაჰმადიანო საქართველო, ანუ ძველი მესხეთი ზემო ქართლი)

რაც წინა დღე იყო, დღესაც ისაა. ახარებელი
სახელწოდებითა შემკული და დაჯილდოვებული ზა-
ტარა საქართველი. ახას სტადეთ და ათქმევეინეთ
კახელ გლეხს, ან იმერელს, ან მეგრელს, რომ
იგი ქართველია და არა კახელი, იმერელი,
ან მეგრელი. რაც განვითარებულმა და ნასწავლმა
ქართველმა შეიგნო, ჯერ ვერ შეუგნია მდებო
კახს.

დიდი სიჭრელეა აგრევე სარწმუნოების.
ძველად თე ერთს მივსდევდით, დღეს ქართვე-
ლოა დანაწილდა სხვა და სხვა სარწმუნოებად,
მაგალითად არის ქართველი ბერძნის რეჟისისა,
ანუ მართლმადიდებელი; ქართველი კათოლიკე,
ანუ ძველებურად ფრანგი; ქართველი — გრიგორიან-
ნი, მიმდევარი წმიდა გრიგოლის სარწმუნოებისა
და ქართველი — მაჰმადიანი, ესე იგი ის ქართვე-



ლი, რომელსაც სწამს სწავლა და მოძღვრება დიდის წინასწარმეტყველის მკვამლისა.

მართალია, დიდა სიჭრელე სარწმუნოებისა, მაგრამ იგი სიჭრელე არ უნდა უშლიდეს და არც უშლის ხელს საქართველოს ერთიანობას, მთლიანობას და მის ერთეულ სიმტკიცეს. სისხლით, ჩამომავლობით, ერთი, ისტორიით, ტომით და ღვინით ერთნი ვართ, განუყოფელი და მომავალად ერთი უნდა გვექნოდეს, ერთად უნდა ვსწოთო ჰანანი. შეერთებით გავლადობით და მასთან ადვილად ვიერთნებ კარზე მომდგარ ჰერსს, მტერსაც უფრო მხნედ, ვაჟკაცუნად დაუხვდებით. ხელის შემშლელი ასეთის ერთობისა მტერია ჩვენის ქვეყნისა და უნდა ვერიდებოდე მას, როგორც სატანას.

საქართველო იყოფოდა სამს დიდ ნაწილად დღესაც ვუფოთ ასე ჩვენს ქვეყანას. დასავლეთი საქართველო, სვადც მოთავსებულია: იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, სამურზაყუნო, სვანეთი, წებულა, აფხაზეთი. აღმოსავლეთი საქართველო, ანუ ქვემო ქართლი. აქაა ქართლი, თრიალეთი, კახეთი, სომხეთი, გურეთ-კახეთი, სანთლო, ქიზიუი, თუშეთი, ფშავეთი, ხევსურეთი, შიოშეთი, ხევი, გუდაშაური და ოსეთი. ასეთივე სიმრავლეა სსრკ-ის დიდი ნაწილი საქართველოში. საქართველოს ამ ნაწილს უჭირავს მდინარე ჭოროხის ხეობა და მდინარე მტკვრის სთავეე. აქ იყო და არის დღესაც ქობულეთი, მოსხდგურე გურიისა; აქირო ზემო და ქვემო, მდებარე მდინარე აჭარის წყლის ხეობაში; შავეთი აჭარასა და ართვინს შუა; ქანეთი ანუ ლაზიკანი, შავ ზღვასა და ზონტოს უღელტეხილ შუა მდებარე; ლივანა ან ლივანის ხევი, მდებარე მდ. ჭოროხზე აჭარის წყლის შესართავიდან ართვინამდინ; კლარჯეთი ჭოროხის მარცხნივ ზონტოს უღელტეხილამდე; კლარჯეთი უწევდა ჭოროხის სთავეს და მიდიდა ბაიურთამდე; ტაო ან ტაოს-კარი ჭოროხის მარცხნივ; სამცხე, ჯაიხეთი, ხოლო ზავახეთის სამხრეთ-დასავლეთით მდ. მტკვრის მარცხნივ ერუშეთი. ერუშეთის მოსამხდგარედ სდგეს არტანი, ხოლო მის სამხრეთად კოლა. კიდევ იყო წერტილი და ზატარა კუთხენი, როგორც

ჩუღურეთი, აბოცი, თორთოზი *) პალაკიო. ზემოქართლს ხშირად ეკუთვნოდა ხოლმე ქ. კარი (ურსი), ბასიანი, ისხირა და თვით აზრუმა (კარზე ქალაქი), ჭანეთის სომხდგარი დასავლეთით უწევდა ქ. ტრანპოხის (ტხვირი კვერთხი, ან რკინის ზაღო.**))

მომეტებული ნაწილი ზემო ქართლისა რუკეთს ეკუთვნის, დარბა მხოლოდ მდინარე დი ნაწილი და სომხდგობა, თორთოზი და ნაწილი ჭანეთისა ისევ ოსმალეთს უჭირავს ტრანპოხით.

ადმინისტრაციულად ზემო ქართლი ასეა დანაწილებული დღეს. ბათომის ობლასტი, — აქ ორი ოლქია: ბათუმის და ართვინის; ანდაჯანის და ოლთისის ოლქები ურსის ობლასტისა და ორი ზაზარ ტფილისის გუბერნიისა: ახალციხის მაზრა და ახალქალაქისა. სულ ოთხი ოლქი და ორი მაზრა.

შეშეთ კლარჯეთი და ტაო, აზობს ჩვენი ნიჭიერი ისტორიკოსი ივ. ჭავჭავაძე, მეტრე და მეტრე საუკუნეს ქრისტიან დაბადების შემდეგ, იყო ახორბული, უშენი და უმკვიდრო. უდაბურ ტყუუანს მიწვაა ქართლიდან ერთი, გაშენდა, აუფავა და შემდეგ კისრად იქცა საქართველოს განთავსება.

დღეს, ზემო ქართლის ექვს ადმინისტრაციულ ნაწილში ბინადრობს ქართველია: მართლმადიდებელი (ახალციხეს, ჭავახეთს და ბათომს), ფრანკი (იქვე და ართვინს) და ქართველი მკვამლის რაჟულ-კახინისა. რაღვინობით და ერთს ითხვებენ სკანდინავი ქართველი მკვამლიანა.

ქართველების კარდა ბინადრობენ ზემო ქართლში: ჭავახეთს, ქ. ახალციხეს და მის მაზრაში აზრუმიდან კადმოსული 1830 წ. ებისკოპოს კარნატუს მეთაურობით და წინამძღოლობით სომეხი — გრიგორანებო და ფრანკები სომეხნი განმეხდეს სტროგოპოვს სხვა ადგილებშიც. ქართველებს და სომეხებს კარდა ზემო ქართლში სტროგოპოვნი: რუსეთი, თურქები, თარაქამა და ბერძენი. ესენი უფრო ანდაჯანის ოლქშია.

დასხვადგობით სამი მკეთხელი ზემო ქართლის მკვიდრისა ქართველობაა, ხოლო ერთი მკეთხელი ურსო ტ მისანი. **ალ. ყიფშიძე**

*) თორთოზის სამხრეთ-დასავლეთის სამხდგარს ერქვა გზა თორთოსა, ანუ საქართველოს ყელი, თურქულად გურჯი ბოლახი.

**) ასეთი მონახუვა ქანეთისა სრული არ არის. ტრანპოხი სატატო ქალაქი ქანეთისა და მასხადა. მე ქანეთის დასავლეთის სამხდგარი უნდა იყვის ტრანპოხის დასავლეთით.



შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი

(პარის ისტორიულად)



შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი

იმ დროს, როდესაც ბათუმის მხარე და მასთან ერთად აჭარა რუსეთს შერთდებოდა, 1878 წ., სწრაფობდა და მოდგაწყოდა ერთი ქართველი მამულაძანი, სახელადობ შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი, რომლის გულისათვის სურვილი იყო ქართველი მამულაძანები დაწინაურებულიყვნენ — შერთდებოდნენ. ის ეყო ბეგი, კარგი სახლ-კარის, ადგილ-მამულის და სიმდიდრის პატრონი და დიდათ პატრიარქული ოსმალთაგან... მაგრამ ვერც პატრიარქი, ვერც სიმდიდრე და ვერც დიდებამ ვერ დააჯიწებინეს შერიფ-ბეგს თვისი საერთო სამშობლო საქართველო, რომლის სეპარატისტული დაკავშირებული იყო მისი კერძო სამშობლოს აჭარის სეპარატისტული მხარეების სურვილებს, როდესაც ეს მხარე ოსმალელებმა დაიმორჩილეს.

მეთერთმეტე საუკუნეში აჭარის ბატონპატრონად გახდა აბდულ-ბეგი, ჩამომავლობით ქართველი, კვანდ თავადი ხიმშიაშვილი. ის მოჰქადას სოფ. აკეთში 1782 წ., როდესაც ამ სოფელს თავს დაესხა თავისი რაზმით. მისი შვიდი იყო სელიმ-ფაშა, რომელიც სულთანს თითქმის არც კი ემორჩილებოდა და თავი მისგან დამოუკიდებლად ეკურა... სელიმ-ფაშა მოჰქადას ოსმალეებს დაღატოთ 1815 წ. მისი ორი ვაჟი ახმედ-ბეგი და აბდ-ბეგი ხიმშიაშვილები 1828-1829 წლებში მონაწილეობას იღებდნენ ოსმა-

ლეთთან ერთად რუსთა წინააღმდეგ ომში... ახმედ-ფაშა 1836 წ. გარდაიცვალა... სწორედ ამ ახმედ-ფაშის შვილი იყო შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი, რომლის დედაწლი აჭარელ ქართველ მამულაძანთა ცხოვრებაში დაუფიქრია... შერიფ-ბეგის სახელი დიდების სხვათ შერქმინდა: მისი ქართველური შეგნება — სძირკვლად გაუხდა ქართველ ქრისტიანებს და ქართველ მამულაძანების დღევანდელ ერთობას... უოველივე კეთილი, უოველივე დიდებული და მდალი რამ შეგნების, იდეის დეილი შვილია... რამდენადც შეგნება შტატე და სდაა, იმდენად მისი შვილი — უოველივე კეთილი საქმე — შტატე და სდაა. შერიფ-ბეგი მამულაძანი იყო სწულით, — მაგრამ ცხადად გრძობდა, რომ ტომით, სისხლით, ჩამომავლობით ქართველი იყო... იმის და მიუხედავად, რომ იგი მამულაძის სწულიის წესებს შტატედა ადასრულებდა, მანც ცნობდა შესაძლებლად თავი ქართველად გამოცხადებოდა. და ის მართლაც იყო ნამდვილი შეგნებული ქართველი მამულაძანი.

ამ როგორ დგეოწრს გახეთი „დროების“ რეაქტორი განწყენებული სერკი მუსხი შეხედრანს შერიფ-ბეგთან, რომელიც იმ დროს რუსთა მხარეზე იყო გადმოხული, 1878 წ. 19 იანვარს: „შერიფ-ბეგი 4 წლის კაცი. „ილიაკობა“ იმის პირველ შეხედვანზე ეტყობოდა: გადაშლილი შუბლი, ნათელი სახე, თქორი კანი, პატარა ნაზი ხელები, დინჯი დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და წყნარი, მშვიდობიანი ლაპარაკი. ზორობ ტანზე ქართული კაბა აცვია და მხრებზე დკერებული ახალი პკონები ამტკიცებენ, რომ ის რუსის ღწერალია. შერიფ-ბეგი წმინდა, ნამდვილს ქართულს ლაპარაკობს. მხოლოდ სიტყვების გამოთქმაში გურულიად უტყვევს, მაგრამ აუწქარებლად და წყნარად ლაპარაკობს და ისეთი ტკბილი „სიტყვასუსხი“ და უბრალო ლაპარაკშიც კი ისეთი, თითქო ორატორული საუბარი აქვს, რომ მგონი თავის დღეში არ მოგუწყინდებთ, — იმას ყური უღღოთ. ერთი სიტყვით როგორც ძველი დარბაისელი ქართველი თავადიშვილის ლაპარაკი გაგიგონიათ, ისე ლაპარაკობს...“

შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი დრამად დაწმუ-
ნებული იყო, რომ აჭარის ბეგი გაუმჯობესდებოდა,
შუკთუ საქართველოს შეუერთდებოდა. იმან
კარგად იცოდა, რომ საქართველომ შეცნობა შეე-
საუყუენის დასაწყისში თავისი თავი ერთმარ-
წმუნე რუსეთს შეაფარა... ასე იყო თუ ისე,
მას უნან ქართველმა ხალხმა ნელის ნაბიჯით
წინაბიჯების გზით მსვლელობა იწყო. ითვი-
სებდა ევროპის განათლებას, სწავლობდა მშობ-
ლიურ ქართულს და სასულიერო რუსულს ენას,
ამ ენათა საშუალებით იმდიდრებდა თავის ეო-
ნებას სასარგებლო ცოდნით. უთვლიდა ეს
ზედმიწებით ესმოდა შერიფ-ბეგს, და მისი
გულთბალი სურვილი იყო შიქლი თავისი სამ-
შობლო რუსეთის სახეგრებს შორის მოქცეუ-
ლად ენახა... ამის შეხებით ახსნება ის თან-
გრძობა, რომელითაც იგი ეპყრობა რუსეთს...
აი რას სწერს შერიფ-ბეგი 1879 წ. აღთქმაში:
„ში თავის ოსმალთა სეულში უფინის შესახებ“

„მე კერძოდ ჩემის ღირსების შესაფერად
მომეტებული სახელიცქმონდა, პატივიც, კარ-
გი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამა-პა-
პული, თუ ჩემთან შეძენილი, რომლით შე-
მძლო თავისუფლად ოსმალურ ვალიდებით
და შვებით სიცოცხლე, მაგრამ ესე ყველა
გარეგნული გამოჩენილობა თვალში სულ არაფ-
რად ან მომდიოდა... მუდამ ცდილობდრი ჩე-
მის თავის და ჩემთა მოძმეთა ცოდობის ჩემი
ქვეყნიურობით. 1877 წ. ომიანობის მოღმა, ჩემ-
და საუკუნო სასიხარულოდ, მომეცა საშუა-
ლება რუსხელმწიფის მფარველობის ქვეშ შე-
სვლისამეცა და ჩემს თანამემამულეთაცა ჩვენს
მრავალ რიცხვედ ძმითანა შეერთებითა“..

და ეს შეერთება მოხდა 1878 წ. შემოდ-
გომასზე ბერძინის კონგრესის შემდეგ...

შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი იყო იმ დეპუ-
ტაციის ერთი წევრთაგანი, რომელიც თბილის-
ში ჩამოვიდა ქართველებთან დასახლოვებლად
და რომელსაც მაშინდელ ქართველმა მოღვაწე-
ებმა შესაფერად ნადიმი გადაუხადეს. როგორც
ქართველი მაშინდელი მოღვაწენი, ისე თვით
ქართველ მაშინდებებს დეპუტატები ერთს და
იმევე სახარს უჩვენებენ წერილებსა თუ ზეპირ
სიტყვებში იმ ერთობის გასამტკიცებლად, რომ-
ლის დასაწყისი 1878 წ. ჩაიდა... ეს

სახსრია სწავლა, ეს სახსრია აჭარულს
რომლის შეთვისება ბუნებით ნაკიერ აჭარულს
და სხვა შეზობელ ქართველებს ადვილად შეუძ-
ლიათ. ცოდნა თავის ახელს აჭარლებს, და-
ნახებებს წარსულს, შეგენიებებს აქმეოს და
მიუთითებს საუკეთესო მომავალზე. შერიფ-ბეგი
ხიმშიაშვილი ამის შესახებ 1878 წელში გულ-
ხალიდად ეუბნებოდა ქართველებს:

„კიი იქნებოდა, რომ აქარლებიც ქარ-
თველებითან იყვნენ შემოერთებულნი. მაგრამ
თუ აგი არ მოხდა, საცა უნდა იყვნენ, ვი-
ნატროთ, ბედნიერთა იყვნენ. განათლება
ეკირებება, ბატონო, იმით. ამდენი ახალგაზრ-
დაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით,
გეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გა-
მართეთ, ასწავლეთ და ესე უნდა. ამა, რა
ძმა ხართ, თუ ისე აბლღურად დატოვებთ!“

ჩუკვირდით ამ სიტყვებს, რომლებშიც
გამოხატულია ქართველ ქრისტიანების საქმის
უმთავრესი საგანი აჭარაში. ზირველი და უკანას-
კნელი ასო ამ ზრფრამის არის სკოლა, ცოდნა,
ხალხის ეროვნული გამოფინება. აი რადენ
მადლა იღვა შეგნება შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილ-
ისა 1878 წლის 19 თვისს, მაშინ, როდესაც
აჭარის საქართველოსთან შემოერთების შესა-
ხებ შიხლოდ ხმები ისმოდა. მაგრამ დღეს ეს
შემოერთება ოდღახადმეტო წლის მომხდარი
საქმეა... ქართველ ნაკიერ მუშაკებს არ შეუძ-
ლიათ სთქვან, საქმეს ვერ უშოვიდობთ:
ფართო გზა, დიდი საბაბელი ესინებათ საშო-
ქმედობით: შიქლი საშაქმადანო საქართველო
ელის შითგან დახმარებას როგორც ნიუთერსა,
ისე გეობერებს და ჩვენს შავს და ძველს
დროში... დიდა სწავლაჲკე ბრძანებს:

„საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბელისაგან დაჩაგრულია!“

სწორედ ბედისგან დაჩაგრულ აჭარლების
შეკლა და დახმარება ქართველ ქრისტიანთა
მხრით, როგორც ნიუთერი, ისე გეობერები,
დაამუარებს ამ ორ ძმასშორის მტკიცე და
შეუწყველს ერთობას... ამის შეხებით აღ-
სრულდება სასუბით შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილის
ანდერძისებური ზემოდ ამოწერილი ჭიხრი. შედა-
რებით ქრისტიან ქართველებთან ქართველი
მაშინდებები ბედით დაჩაგრულნი არიან, და-მად-

დობა დმერთს,—რომ ხირველთ გათვალისწინეს მეორეთა უნუგეშო მდგომარეობა... და სხვა ქართველ ქრისტიანთა თანაგრძნობისა და ძმურის ნუგეშისა ქართველ-მაცმადიანთა შიშართ ელვის სისწრაფით გარგნელად უკანასკნელთა სპიშობლამო, და იმედ-მოსაძლას გულის ძებრამ შიშობას მათი დაწველულებული არსება..

აი რას სწერს აჭარელი მიქელაძე გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მე-68 ნომერში ამ სჯენის თაობაზე: „უირომა დავეკრწმუნა აქარლები, რომ ჩვენ ქრისტიან ძმებს უზოზოდ ვყვარებივართ. ვაზეთით ვგებულობთ, რომ ყველა კუთხეში მყოფი ჩვენი ძმები შემოწირულლებას აგროვებენ, შეძლებისადაგვარად გვეწვეიან თვით დამშულონი სოფლები, ბრძოლის ველზე მყოფი ჯარისკაცები, გვეწვეა დიდი და პატარა. ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, ჩვენი ნამუსის შემბლაღავი არ დაისჯება, დამწვარ-გაპარტახებული სახლ-კარგუბო-მიდამო არ აშენდება, ნალიები სიშინლით არ გაივსება, მაგრამ თითოეული კაპიეი, ქრისტიან ქართველების მიერ ჩვენთვის გადაღებული, მილიონია, თითოეული მათი თანაგრძნობის სიტყვა ჩვენი მალამოა. გვწამს, რომ ეს თანაგრძნობა უფრო იმატებს, მეტათ შეგვაკავშირებს, და ვისაც ამდენ ხანს არ სწამდა, რომ ჩვენ, რაკი სხვა და სხვა სჯული გვაქვს, არ შეგვიძლია ძმები და მეგობრები ვიყოთ, დარწმუნდება, რომ ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ ამდენხანსაც თქვენი ვიქნებოდით, უსწავლელობა გვიშლიდა ხელს. დღემდე დიდ ყურადღებას არც თქვენ გვაქცევდით. ამიტომ ქართული წერა-კითხვის მკოდნე ჩვენში არავინ იყო და, თუ იყო, იგიც ზაქარია კიკინაძის, პეტრე უმიკაშვილის და თავადი ილია კავკავაძის მეოხებით... ახლა ქართულის წამკითხავი თითქმის ყველა სოფელშია, და დიდი სამადლო საქმე იქნება, თუ ნახმარ გაზეთებსა და წიგნებს გამოგვიგზავნით“.

ჩვენ მოსწარული ვართ, რომ ჩვენი წერილი დიდთა ზატავრეშოთ აჭარელი მიქელაძის სიტყვებით დავამთავრეთ. არ შეგვიძლია ჩვენი აღტაცება არ გამოვსთქვათ იმის გამო, რომ

უგვეცის ტატნობზე აღმობრწინდა ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მაცმადიანთა კულტურული, სულიერ ერთობის სხივოსანი ვარსკვლავი... ამ სანატრელს ერთობას, განმტკიცებულს დედა-ენის, ტოდნის და შეგნების მოსხებით, დეჟელთა სხუადსხუაბას სჯელს ვერ შეუშლის... შერიგებუცის და მის მსჯესი მაცმადიანების გულისათი ნატურა უგვე აღსრულებას იწვევს, თუმიც კი გვიან.. სანამისოდ სკატორ შეიქმნა ისეთი სანარელი ქართველი, რომელიც მსოფლიო ომის სხხით თავს დაატუდა ქვეყნას. აჭარის გამოფხიზლება გამოიწვევს შავშეთ-ერუშეთის, დივანს და სხუა იმ ქვეყანათა გამოფხიზლებას, რომელიც ქართველი მაცმადიანებითა დასახლებული.. და ვინ იცის, ეგებ ამ ძველს შიდა ქართლს კვლავ დაუბრუნდეს თვისი წარსული დიდება, და კვლავ წარმოშობას მან შესანამსხუაი ექვთიმე მთაწმინდელეები, სულმანთა შოთა რუსთველები, ოსანე მტბეგარნი და სხუანს.. რადგანც

„იქა ღვივოდა ძლიერი ცეცხლი ძველად ქართული ეროვნებისა და აშუუქებდა მთელ საქართველოს იქილად სხივი მწიგნობრობისა“...
 ი. ფ—რადი

რას გვეჩიით?

...ჩვენც ხომ ხალხი ვართ... რას გვეჩიით!..“

მე ეს სიტყვები დღესაც ყურში ჩამწერჩულვას.

ისინი ჩვენთან იყენენ ციხეში. ექვსნი იყენენ, მაგრამ ერთის ალავსაც კი არ ვაძლევდით... სადღაც ნარს*) ქვეშ იყენენ შემალულნი! ვახსენებდით მაშინ, როცა დავუქირებოდა:

- ალიავ! იატაკი მოწმინდე?
- ისმაილ! ბოქკა გარეთ გაიტანე?
- ფერდელავ, ფესასცემელი გავშენ-ლილია?—ასე ვამუშავებდით ჩვენ იმათ.

*) ნარი—საწოლი, პატარა ტახტი.



აჭარლები

— ყველაფერს ვიზამთ, ძიავ, ყველაფერს, ოღონდ თქვენ ერთი ომის ამბავი გავგაგებთ; ნეტავი კიდეც დიდხანს იჩხუბებს გერმანია და რუსი?—მოუთმენლად გვეკითხებოდნენ ისინი.

— ბატონო! წამიკითხეთ ერთი, რა წერია გაზეთში—მეუბნებოდა ის ჩუმათ, როცა გაზეთს შემამჩნევდა ხელში.

— კარგი, წაგიკითხავ, მაგრამ ერთ-ერთი აქ დადექით, უფროსმა არ მოგვიწეროს.

მეც ვკითხულობდი—ისინი სმენად იყვნენ გადაქცეულნი.

— მართალი თქვი ალია! რუსმა რომ გეიმარჯვოს, ის გირჩევნია თუ თათარმა?—

— რათ მეკითხები, ძიავ, მავას, რათ მინდა თათრის გამარჯობა, შიმშილით მომკლავს. მე აქაური ვარ, ცოლი აქ მყავს და შვილი.

— როგორ, ქრისტიანის ქალი გყავს ცოლი?

— დიახ ბატონო.

— მერე ვინ მოგცა თათარს ქრისტიანის ქალი?

— რატომ ვინ მომცა, მეც კაცი ვარ. შემეყვარა... მისაც შეუყვარდი და ვცხოვრობთ ერთად.

— მერე ესლა რომ რუსეთში გავზავნიან?

— მეც ეს მაწუხებს და! ერთი არ ნახეს ჩემი ცოლი და შვილი...—ნადვლიანად სთქვა ალიამ და მძიმეთ ამოიოხრა.

II

— ბატონო, იქნება მოგვიხერხო რამე.. მეც დანიშნული მყავს, არ მინახეს. უარს მეუბნებიან.

— შენ სადაური ხარ, უსუფ?

— სადაური ვიქნები, აქარიდან ვარ. ბატარა ვიყავი ძმას რომ მოგვეყვი გურიაში. მერე სულ იქ ვცხოვრობთ. სახლი მაქვს და კარი. მტერი მყავს და მოყვარე. მინდოდა ესლა ცოლი შემერთო, ქალიც დაენიშნე, მარა თათრის ჩხუბმა დამლუბა. ძმაც კი არ მინახეს, არ შეიძლება ჯაშუშები ხართო.. ესლა მგონია შუაგულ რუსეთში გვაგზავნიან.. ვინ იცის სათ დაგვხოცავენ.. რას გვერჩიან, რა დავვიშავებო!

კიდევ უნდოდა ალიას რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს საქანის სარკმელს ზედაშედველი მოადგა.

— ალია სირამე, ისმაილ ბერიძე, მამედ მახმუდოვლი და ასე ქვევით გამოიძახა ყველა მამამლიანი ქართველები, შემდეგ კარებს ურდული გამოაძრო და ექვსივე უფროსთან წაიყვანა.

ხუთი წამის შემდეგ ყველანი შემობრუნდნენ, დაძმარებულნი. ალიას თვლებიდან ცრემლები სცვივოდა.

— რაშია, თათრებო საქმე, ხომ არ წმენდნენ ციხეს... თუ მაკარიჩია თქვენზე?— დაღინვით შეეკითხა იმათ ერთი ტუსალთაგანი. იმათ ხმა არ გასცეს, იატაკზე დასხდნენ, თავი ჩაჰკიდეს.

— გაგზავნიან ალია?—შეეკითხეთ მე.

— დიახ, ბატონო, ხვალ გვაგზავნიან... ცრემლების ყლაპვით სთქვა მან და თითებს მტვრევა დაუწყო.

III

მეც იმ დღეს მომიხდა განთავისუფლება ციხიდან, რა დღესაც სამხედრო ტყვეები გაგზავნეს მახლობელ სადაურზე, იქიდან კი რუსეთს.

წვიმიანი დღე იყო. აღაყადის კარებთან ახალგაზრდა ქალი იდგა ბავშვით ხელში. გამოვედი თუ არა, ცრემლებით სავსე ცის-



ქართველი

მაჰმადიანები



მამდარ-ბეგ აბაშიძე
მასწავლებელი და მწიგნობარი — ქართულ გაზეთების თანამშრომელი.

ქოსრო-ბეგ ჯაში
აქრელი, მარაღიდში გაგვნიანი პირი.

მამედ-ბეგ აბაშიძე
ოსმალური ენიდან ქართულად პიესების მთარგმნელი და ცნობილი პირი.

ქრისტაიან და მა მადიან ქართველთა ერთობის მქადაგებულნი

ჰაილარ-ბეგ აბაშიძეს

(ავტორმა წაუკითხა ქუთაისში ნიკ. ასათიანის მიერ გამართულ სალიტერატურო საღამოზე)

გაიგე, რომ ხარ სულით ქართველი, იცან სამშობლო შენი ქვეყანა.
 მოწყვეტილ ყვაილის ძუძუ გაწოვა, გზარდა, გაღალა და გეაყვანა...
 სულის სიღრმეში ჩაგწედა ბრძოლის ხმად დედის ტკბილ რძესთან, დედის ნანინა.
 იმედის სხვად იქცა სიკოცხლე, ცრემლად დაწვევებზე რომ დაგადინა.
 მკექარ ხმით უხმოვ: შეკრბენ მოძმენი . ხედავ მთის არწივს დაქრილს, დაკოდის.
 უძღლორად მდებარს ცრემლის კუბოში, ფრთებ დაგლეჯილსა და სულამოხდილს...
 — იცან სამშობლო, შენი ქვეყანა, ღეჩაქ მოხდილი საქართველოა.
 თვით ქართველი ხარ და ეგ კერპიც ხომ მაგ შენი სულის სამლოცველოა.
 მაშ, გაუწოდე ხელი, ჰაბუკო, მოძმე ქართველებს, მხედ იმამაცე;
 ბრძოლის ხმებს გაჰყევე, იბრძოლე მედგარად, თუნდა მაგ ბრძოლით მკვდარი დაეცე,
 სისხლის ცრემლები გადინონ თვალზე, მაინც განვლე ეს ცხოვრების ველი,
 კუბოს ფიცრამდი მეხად გრგვინავდე, რომ ქართველი ხარ, სულით ქართველი...

ლადო მაჭავარიანი

ფერი თვალები შემომანათა.

— მითხარით, ღვთისგულისათვის, სამხედრო ტყვეებს ხომ დღეს გზავნიან?

— დახ, დღეს. მერე თქვენ ვის უცდით?

— ქმარს.— მომიგო მორცხვად, ცოტა სიჩუმის შემდეგ და თვალებიდან ცრემლები წასქდა. დედის მკერდზე მიყრდნობილი ბავშვი-კი მოშობლის ტირილზე ილიმებოდა.

დარაჯები მოვიდნენ. ალაყაფის კარები კვლავ გაიღო.

— აქ დგომა არ შეიძლება, ეხლავე ტყვეები უნდა გამოიყვანონ! მოშორდით კარებს.— უყვირა ქალს ზედაშედეგლომა.

— ღვთის გულისსაფის მაჩვენეთ ქმარი.

— შეევედრა ის ზედაშედეგელს.

— „აჩვენეთ ქმარი“ — თათრის კოლია!, არც კი რცხვენია. ფუი შენს ნა-

მუსსი...—წამოაფურთხა ზედამხედველმა და კარი ჩაკეტა.

— რა უნდა გითხრა შეუფენებელს და მართლა საზიზღარს?—იყო პასუხი ქალისა. კარებს მოშორდა.

— მომეცით ბავშვი, მე დაგიპერთ.— უთხარო მე.

— გმადლობთ, ბატონო. ქალს არ ჯეროდა.

გამოიყვანეს.

— საშოკო, შენა! არ მოგელოდი, მომეცო ბიჭი, ერთი ჩავკოცნო უკანასკნელად.— შესძახა გახარებულმა ალიამ ცოლს და ორივე ხელები გაუწოდა გამოსართმევად; მაგრამ, საყვარელი ბავშვის მაგიერ, მის გაწველილ ხელებს, ხმლის ყუა მხოვდა...

— არ შეიძლება, გესმით თუ არა!..

— ჩვენც ხომ ხალხი ვართ... რას გვევრჩით?!. სირცხვილი თქვენი — უსაყვედურა

ალიამ დარაჯს. მერე კი ისევ ცოლს მიუბრუნდა;

— ყოჩაღად იყავ... შენ იცი... ბიჭი... სთქვა და გასწია.

— ყოჩაღად იყავ... შვილს გამოგიზრდი... სირცხვილს არ გაქმევ... გფარავდეს ღმერთი...—სტროდა საშა, ბიჭი კი ილიმოდა დედის მკერდზე ..

ამას წინად ინტერნაციონალურ დილას დავესწარ. სცენაზე ვნახე: რუსი, ქართველი, სომეხი, ოსი; მამამდიანი თათრებიც იყვნენ, და მე სცენაზე იმათ დანახვამ ციხის სურათი მომაგონა და ალიას ხმა ყურში ჩამწვდა:

„ჩვენც ხომ ხალხი ვართ, რას გვევრჩით, რას?..“

ს. რემონიძე

როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ?

პირველად მამაჩემმა ბათუმის ქართულ სასწავლებელში მიმაბარა. ეს იყო დაახლოებით 1900 წლებში სასწავლებელში შესვლისას ერთმა კაცმა მომიკიდა ხელი, პირველად შემეყვანა კლასში და დამსვა სკამზე. მე ვაკვირებული და შეშინებული ვიცქირებოდი ირგვლივ, მოუთმენლად ველოდი „ხოჯას“ შემოსვლას. კლასში დავინახე რამდენიმე ბავშვი წითელ ფესკებში. მათი დანახვა გამეხარდა და ვიფიქრე: „აწი რა მიქირს, გარდა ქართველებისა — გიორგებისა, აქ ჩვენი „თათრებიც“ ყოფილიანთქო“. ბევრი დრო არ გასულა, მომესმა რიდაც რეკვა. მოწაფეები ამ ხმის გაგონებაზე ფეხზე წამოდგნენ. მეც ავყევი იმათ და გავვლით სკოლის ეზოში, სადაც კიდევ სხვა წითელ ფესკიანებიც დავინახე. მათ შორის ნაცნობებიც აღმოჩნდნენ. ნაცნობების დანახვამ ჩემი სიხარული გააორკეცა. წითელ ფესკიან ნაცნობებს შევეკითხე: — „რას აკეთებთ, რისთვის მოსულხართ აქ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ აქ ვსწავლობთო...— თქვენ კი სწავლობთ, მაგრამ, ერთი მითხარით, ჩვენთან

როდის შემოვა ხოჯა?“ შევეკითხე. მიმითითეს იმ კაცზე, რომელმაც მე პირველად შემიყვანა კლასში და მითხრეს: „აი ეს არის თქვენი ხოჯა, რომელსაც ქართულად მასწავლებელს ეძახიან და ჩვენებურად კი, ესე იგი თურქულად ხოჯასაა. დარეკეს. შევევლით კლასში. ჩამოვარდა სიწყნარე; მასწავლებელმა აიღო ხელში წიგნი, მიათთა ხელი ერთ ფესკიან მოწაფეს და უთხრა:

— „თათრახან, გამოდი დაფსათანო“.

დროთა ვითარების მიმდინარეობაში, სკოლაში ყოფნისას ვაკვირდებოდი და ყოველ დღე ვაძწენედი, ჩვენი მასწავლებელი საზოგადოათ ფესკიან მოწაფეებს „თათრახანსა ეძახდა, ქართველი მოწაფეები-კი „თათრებსა“. ეს სახელწოდება, ფესკიანებს სრულიად არ ეუცხოებოდათ, პირიქით სიამოვნებასაც გვრიდა.

ერთ დღეს, ვაკეთილზე ჩვენი მასწავლებელი უნებლიეთ გადაჯავრე, რისთვისაც გაჯავრებული კილოთი მითხრა:

— „თათრახან!“ ნუ ეშმაკობ.

სკოლიდან დაბრუნებისას მამას ვუამბე:

— „მამა! ჩვენ, „თათრებს, მასწავლებელი „თათრახანს“ გვეძახის.

მამისგან შემდეგი პასუხი მივიღე.

— „თათარი“ კი, მაგრამ ეს „ხანი“ რა არის, მართალი გითხრა, „ვეილო, არ ვიცი.

— „ვეილო, თქვენ თათრებს, მასწავლებელი გეფერებათ და „ხანი“ ხართო, გეუბნებათ“ დაუმატა დედამ.

— მოფერება კი არა, ისე გაჯავრებული მითხრა, რომ „შიშმა ამიტაკათქო, მიუგე მე.

მეოთხე წელზე პირველდაწყებითი სასწავლებელში მივატარე და გადავედი ბათომის საქალაქო სასწავ. აქ სხვა სურათი გადამეშალა. დაახლოვებით გვეციანი რუს და ქართველ მოწავლებს. რუსი მასწავლებლები და მოწავლებლები ჩვენ მაშმადიანებს გვეძახდნენ „ტუროკ“ ქართველი-კი „თათრებს“. გვეგონა „თურქი“ რუსული სახელწოდება იყო „თათრის“. აი სწორედ ამიტომ არ გვეუცხოებოდა რუსები ჩვენ, თათრებს „თურქებს“ რომ გვეძახდნენ. საქალაქო სასწავლებელში მხოლოდ ერთი წელიწადი დავჩაჩი. შემდეგ მაიამჩემმა, 1905 წელს, გამგზავნა სახლვარ-გარედ, ოსმალური ენის შესასწავლად. ჩემ გაოცებას სახლვარი არ ჰქონდა, როდესაც ოსმალეთში „გურჯი მიწოდეს“. ჩაფიქრდი: „ეს რა ამბავია: ხან „თათარი“ ვარ, ხან „თათრახანი“, ხან „თურქი“ და ხან-კი „გურჯი“.

გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ ჩემთვის სულერთი იყო, რასაც მიწოდებდნენ, მხოლოდ „ქართველის“ სახელწოდება ძალზე მეჯავრებოდა. ოსმალეთიდან დაბრუნდი 1908 წელს, ისევ შევედი ბათომის საქალაქო სასწავლებელში, რომელშიაც კურსი 1912 წელს დავამთავრე.

რუსულ-თურქულ წიგნებში აღტაცებით ვკითხულობდი სამშობლოს შესახებ ლექსებს და მოთხრობებს: მაშინ წარმოდგენაც არ მქონია, თუმცე მქონდა სამშობლო და დედანა. მე ამ დროს ვტკებოდი უცხო ლიტერატურის კითხვით, საქალაქო სასწავლებლის დასრულებისას დაახლოვებით გაციანი ერთი ახალგაზრდა ქართველი-ქრისტიანი, ბანი

ესე კეკაყამაძე. ჩვენ ხშირად ერთად ვიკავებოდით ერთ დღეს ამ ჩემმა კარგმა ნაცნობმა ბნაკეკაყამაძემ მითხრა:

— „წამოდი ქართულ თეატრში, „ლალატსა“ თამაშობენ, საუცხოვო ისტორიული პიესააო“

ეს იყო დაახლოვებით 1912 წლის მიწურულში.

მე უთხარია:

— „თქვენ თეატრში რა მინდა, ამალამ თურქული წარმოდგენა და იქ წავალთქო. ბნი კეკაყამაძე ბევრს მეხვეწა, როგორც იქნა დამითანხმა, და წავედით. წარმოდგენა „ლალატსა“ ძალზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ქართველი-მეგობარს, რომლის რჩევით წარმოდგენაზე წავედი, წარმოდგენის დამთავრებისას გაჯავრებული მივმართე:

— „ეს იყო თქვენი კარგი წარმოდგენა, რომ რვა საათიდან დაწყებული თორმეტ საათამდის ჩვენ, „თათრებს“, უგინებელი არაფერი დავციტავეთქო?!“

ბ-მა ესე კეკაყამაძემ ღიმილით მიპასუხა:

— „უინ იყენენ ისინი, რომ იტანჯებოდნენ?“

— „თქვენ — ქართველები;— მიუგე.

— „მტანჯელები?“

— „ჩვენ— თათრები“, უპასუხე და შემდეგი დაუმატე გაჯავრებულმა: „რა გიშავთ!! შურიც კარგად იძიეთ, საკმაოდ გვათრიეთ და კარგათაც გვაგინეთქო“.

მან ღიმილს მოუმატა და შეუდგა საქმის ვითარების ახსნას. მე მის ახსნა-განმარტებას ყურადღებას არ ვაქცევდი და ან როგორ შემქმლო მიმექცია ყურადღება, როდესაც ბავშვობიდანვე, საზოგადოებაში და სასწავლებელში ჩამძახოდნენ: „გათათრებული“, „თათრახანი“, „თათარი“, „თურქი“ ვინ იცის კიდევ რა? ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა შემამტოვა, რომ ის ჩემთან ვერას ვახდებოდა და გამშორდა. მეორე დღეს დილით მოვიდა ჩემთან და მომიტანა ქართული წიგნები, „სხვათა შორის, ჩვენი დაულალავი მუშაკი ბნ ზ. კიკიანის ნაწარმოებიც და მითხრა:

— „მოდი, დაჯვდეთ და ამ წიგნებს გადავხელოთ. მეც დავეთანხმე და დავიწყეთ

კითხვა. წასვლისას-კი დამიტოვა ის წიგნები. რამდენიმე დღის შემდეგ დავუწყე ძებნა ჩემს ძვირფას მეგობარს, ვინახულე და ვუთხარი:

— „მითხარი როდის ითამაშებენ ჩვენს ქართულ თეატრში „ლალატს“, უსათუოდ კიდევ უნდა წავიდე. მაშინ მან ტკბილად გაიკინა და მითხრა:

— „მოდო კუპაზე?„

მე ამაზე უპასუხე:

— „ეს არა კმარა! საკიროა სხვებიც მოვიდნენ კუპაზე, და მასთან ერთად შეიგნონ და შეაგნებინონ გზაკვლავანულ-დაბეჩავებულ ქართველ-მაჰმადიანებს, რომ ისინი არიან ქართველები, მათი დედაენაა ქართული ენა და სამშობლო-კი კობტა საქართველო. —

ამასთანავე არ შემძლიან არ მოვიხსენ-

ნოის გარემოებაც, რომ ჩემსა და სხვა ქართველ მაჰმადიანების გამოფხიზლებას ხელი შეუწყობრავალ დასაბუთებულ წერილთა მეშვეობით ჰბათუმის გაზეთმა„ა, რომელიც ა. კელიძის რედაქტორობით გამოდიოდა და რომლის თანამშრომელიც გახლდათ. ამავე დროს დაარსდა სამუდამო ქართული დრამატული დასი ქართულ წარმოდგენათა საწარმოებლად ბათუმში როგორც ქართულმა გაზეთმა, ისე ქართულმა თეატრმა დიდად ხელი შეუწყობ ქართველ მაჰმადიანებს შორის ქართული ენის და ქართულ შეგნების გავრცელებას. ამასთანავე მე დაუახლოვდი 1912 წლის შემდეგ ბათუმის საშუალო სასწავლებელში მოსწავლე რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას, რომლებთან კავშირმა გულში საქართველოს სიყვარული უფრო მეტად გამიღვივა.

მაილარ-მეგ აბაშიძე



ცოტა რამ ჩვენი თანამოძმე — ჭანების შესახებ

დღეს ამ უმაგალითო ომიანობის გამო ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ იმ პატარა ეროვნებათა და ტომთა შესახებ, რომლებიც ისტორიული ჩარხის უკულმა ტრიალმა ძალად დანაწილა, დაქუცმაცა და სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებში მოუყარა თავი. ეს ნაწილები დღეს ბუნებრივად ერთმანეთისაკენ მიიღრვიან, რომ კვლავ შეერთდნენ, შექმნან ერთი ეროვნული სხეული და მტკიცე საფუძველი დაუდგინ თავისი ერის თავისუფალ განვითარებას.

ამ საერთო მოძრაობიდან და მუშაობიდან მხოლოდ საქართველო და მისი ისტორიული ნაწილები არიან გამოირცხული. გარეშენი ჩვენზე ხმას არ იღებენ, და არცა ვართ ამას ჩვეულები, მაგრამ ჩვენც დავდუმებულვართ და კეთებით ხომ სულ არაფერს ვაკეთებთ. ვითომც საქართველოს არა ჰყავდეს დაკარგული შვილები, ვითომც მისი სხეული მთლად შეერთებული იყოს და წყლული მისი დაამებული. თუ აქარლებში შესახებ ვლაპარაკობთ მინც, თუ კეთებით არაფერს ვაკეთებთ, ქანებზე ანუ ლაზებზე, ამ ჩვენ ერთ უნიკიტერს თანამოძმეებზე, სრუ-

ლებით აღარა ვფიქრობთ. კარგა ხანია ისინი მივივიწყეთ და მთხას აღარც კარგხა და აღარც ავს არაფერსა ვკითხულობთ.

დღევანდელმა ომმა თვისი სიმწვავე და სისასტიკე ქანებსაც აგემა, თუ მეტად არა, არა ნაკლებ ვინემ სხვებს. მთელი ქანეთი ანუ ლაზისტანი ომის ასპარეზად იქმნა გარდაქმული. ქანეთი, როგორც მოგეხსენებათ, ორ არათანასწორ ნაწილადაა განკვეთილი. უმცირესი ნაწილი რუსეთის სახელწიფო საზღვრებშია მოქცეული, სახელდობრ ბათუმს ოლქში (ქოროხის მარცხენა შესართავის ჩხალა-წყლის ხეობაში რვა სოფლად, ჩხალელები და ზღვის ნაპირას გონიას ნაწილში), უმეტესი ნაწილი კი მოქცეულია ოსმალეთის იმპერიაში, სახელდობრ ტრაპიზონის ვილაიეთში (რონეს ხანჯაყის ანუ მაზრის ორი კაზა ანუ სამოქალაქო). თუ რა დღე დაადგათ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს, მაშასადამე ქანებსაც, ყველას კარგად მოეხსენება. უკეთესი დღე არც ოსმალეთის ქანებს დაჰყოიათ. გაზეთებში ხმ. რად იყო დასახლებული ქანეთის ქალაქები აღმოსავლეთიდან მოყოლე-



ბული დასავლეთამდის: ხოფე, არქაბი, ვიწქა¹⁾ და ათინა, სადაც ომის აღი ტრიალე-ბლა.

ნუ თუ ამდენი მსხვერპლი, ამდენი სისხ-ლი ქანებისა უნაყოფოდ უნდა დაიკარგოს? ნუ თუ მათ არ ექირვებათ ნუგეში და დახ-მარება, რომ კვლავ იცნონ თავისი თავი, კვლავ შეიგნონ თავისი ეროვნება და აღორ-ძინების გზას დაადგენ? არც ერთი ისტო-რიული ეროვნება გინდ ტომი, რომელთაც დღემდის მოუღწევიათ, არ იმყოფება ისეთ საშო მდგომარეობაში გადაგვარების მხრივ, როგორშიაც დღეს ქანები არიან. მეოცე სა-უკუნეში ისეთი ტომებიც კი, რომელთაც ისტორიული წარსული არა აქვთ, არ მიუძ-ღვისთ არავითარი დეწლი კაცობრიობის წი-ნაზე, წელში იმართებიან, თავის ეროვნულ სულს ამტკიცებენ და ქანები კი, ლითონის დამუშავების პიონერები და ამ დარგში კა-ცობრიობის მოძღვარნი, სწორედ ამ დროს გადაგვარების მოღლიაულ ზღაზედ მსწრაფლად მიექანებიან უფესკრულისაკენ. გული გოკვდე-ბათ, როდესაც კითხულობთ ნ. მარრის ზემო-დასახელებულ მოგზაურობას ქანეთში. ყოვე-ლივე ეროვნული ძირიან-ფესვიანად ითხრება, იფიწყებენ თვით ენას. მამაკაცები თავილო-ბენ კიდევ დედაენაზე ლაპარაკს; იმათ ოსმა-ლური უფრო ენერგებათ და მოსწონთ, ქა-ნური ენა კი „დაცა“ ენად მიიჩნიათ. ქა-ნეთში ნ. მარრმა მხოლოდ ლექსები ჩასწერა, ვერ ნახა ისეთი ქანი, რომ ქანურად რამე ზღაპარი ეთქვა, და აკადემიკოსს ეკვი შეეპა-რა, ვაი თუ ქანებს აღარც კი შესწევდეთ ძალი დედაენაზე ზღაპრის თქმისაო. ჩვენდა სასიამოვნოდ ეს ეკვი მართალი არ გამოდგა. მე პირადად შემთხვევა მომეცა მურღულის

ხეობაში (ბათუმის ოლქი) ჩამეწერა სამი ზღაპარი, იქ ქარხანაში მომუშავე ლაზებისა-გან; ზოგი მათგანი ბათუმის ოლქში მცხოვ-რები იყო, ზოგიც ოსმალეთიდან სამუშაოდ გადმოსული. ეს ზღაპრები მე ქართულადაც ესთარგმნე და კითხველ საზოგადოებას გადა-ცანი²⁾. ცხადი კია, რომ ქანური ენამართლაც ქალემა უკეთ იცნონ, ვინემ მამაკაცებმა. ქა-ნეთში ჩვეულებათ აქვსთ ფერხული სიმღე-რა („ობირუ“), რომელსაც ვაეები და ქა-ლები ცალ-ცალკე მართავენ. რადგან ქანური ქალებს უფრო ენერგებათ და უკეთეს ლექ-სებს ამბობენ, ვაეები ფარულად მიიხსლოვ-დებიან და უყურებენ, რომ ლექსები დიხსო-მონ. სამუშაოდ ბოლო დროს ამ მხრივაც საფრთხე მოედის ქანურ ენას. ოსმალეთის ქანეთში, როგორც ნ. მარრისათვის უამბნიათ, 800-ზე მეტი რუსი ქალი ყოფილა! ქანები რუსეთში დიდი ხნობით რჩებიან როგორც ხელოსნები და გარდა ამისა ხშირი მიმოსვლა აქვსთ როგორც ვაქრებს სამშობლოში დაბ-რუნებისას თან მიჰყავთ ცოლებად რუსი ქა-ლები, რომლებსაც რა თქმა უნდა ქანური არ ეცოდინებათ. ენის დეფიციენტსთან ერთად ქანებს თანდათან აფიწყდებათ თავისი წარსუ-ლი. აფიწყდებათ არა მარტო ის ფაქტი, რომ მე-VI საუკუნედან მოყოლებული მე-XVI-ლის ქრისტიანები იყვნენ, ისაც კი ავიწყდებათ, რომ ისინი თავის თანამოქმედ ავით,—მეგ-რელებისა, სვანებისა და ქართველებსავით,— ძველი ხალხია და უკანასკნელებთან ერთად თავისი წვლილი შექმნდათ ქართულ ეროვ-ნულ-კულტურულ საუნჯეში.

ამ თანამოქმედ ტომებში ქანები ყველაზე უფრო მეგრელებს უხალცილეებიან, მათი ენა ლინგვისტურად ერთი ენაა და, თუ დღეს ორი სხვადასხვა ენის სახით არსებობს, ეს აიხსნება მით, რომ მეგრული მყოფებოდა და იმყო-ფება ქართულის გავლენის ქვეშ, ქანური კი ჯერ ბეჭნულისა და შემდეგ ოსმალურის გავლენის ქვეშ. ძველად ქანეთი (კოლხიდა,

¹⁾ არ შემოძლია არ აღვინიშნო ის სამუშაო მოვლენა, რომ ქართულ გაზეთებში ქანური გეოგრა-ფიული სახელები დამახინჯებულადაა მოყვანილი რუსულ ენის გავლენით. მაგ. ვიცე „ვიწქა“ მაგიერად. ეს მოვლენა მით უფრო ააწუხარა, რომ არსებობს შენეიერი გამოკვლევა აკად. ნ. მარრისა ქანური ენი-სა და ქანების შესახებ (Грамматика Чанскаго (Лаз-скаго) языка съ хрестоматією и словаремъ да Изъ поѣздки въ Турецкій Лазистанъ, სადაც ყოვე-ლივე სისწორითაა აღნიშნული.

²⁾ იხ. ჩემი „Дополнительныя свѣдѣнія о Чанскомъ языкѣ“.

³⁾ იხ. „ნაკადული“ (მოზრდილთათვის) 1911, №8—10.



ლოზიკა) და სამეგრელო სწორად ერთ სახელმწიფოს შეადგენდნენ, ასე რომ „კოლხიდიში“ მთელი დღევანდელი სამეგრელო და იმერეთის ნაწილიც (შორაპანამის) შედიოდა და პირიქით „სამეგრელო“ კოლხიდასც შეიცავდა და ტრაპიზონამის გრძელდებოდა. ცათე აღმშენებლისა და თამარ-მეფის დროს კი ყველა თანამომქმე ტომები გაერთიანებული იყვნენ. მაშ რა მოხდა, რო დღეს ჩვენსა და ქანებს შორის თითქოს საერთო აღარა არის რა? რამ მოსწყვიტა ისინი საერთო კულტურულ ძეძულს? ორმა გარემოებამ: ერთი რომ ქანების უმეტესობა მე-XVI საუკ. სხვა სახელმწიფოში სცხოვრობს და მეორე ის რომ სხვა რჯულს აღიარებს, უმეტესად კი ამ უქანას-კნელმა, რჯულმა სრულიად დახრდილა ეროვნება და ეროვნული თვითშეგნება გაანადგურა, ეროვნება მსხვერპლად შეეწირა რჯულს, ეროვნება და სარწმუნოება ერთმანეთში აირია. ამ-ტომმა რომ მაჰმადიანი ქართველები საზოგადოდ და კერძოდ ქანები ჩვენ „თათრებად“ გამოეცხადებენ და იმათაც „ქართველობაზე“ ხელი აიღეს, რადგან „მაჰმადიანი“ ჩვენის ყაბიის უმეტესობით „თათარს“ ნიშნავდა, მაჰმადიანებისათვის კი „ქართველი“ (გურჯი) „ქრისტიანსა“ ნიშნავდა. ეს საშვალლო საუკუნოების აჩრდილი დღესაც არ გამქრალა და ორივე მხარეს სულს გვიხუთავს. ღრთა თავი დავაღწიოთ ამ საწინიერებას. ღრთა ჩვენც-ქრისტიანმა ქართველებმა და მათაც—მაჰმადიანმა ქართველობამ და კერძოთ ქანებმა მიესცეთ **სარწმუნოებისა სარწმუნოებასა და ეროვნებისა ეროვნებასა** ღრთა შევიგნოთ, რომ ქართველი, ქრისტიანი ის თუ მაჰმადიანი, **თავდაპირველად** ქართველია და მერმე ქრისტიანი, მაჰმადიანი ან სხვა რამე სარწმუნოების; სარწმუნოება სინილისის საქმეა. დეე, ვის როგორც უნდა, ისე აიღოს შემოქმედი. მაგრამ რა სარწმუნოებისაც არ უნდა ვიყოთ და რომელ სახელმწიფოშიაც არ უნდა ვსცხოვრობდეთ; თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, თუ კი მას თავი **აღამიანად** მიიჩნია და თავმოყვარობა აქვს, დაიცვას თავისი ეროვნული პიროვნება, გაითვალისწინოს თავისი წარსული, აწმყო და შერეთებულის ძალით გაიკაფოს გზა უკეთესი მომავლისაკენ.

დიდი მუშაობა საქირო ორივე მხრიდან, რომ ჩვენ, დღეს გათიშული ძმები, კვლავ ერთმანეთს დავუბრუნდნენ. მეტი მუშაობა კი ქრისტიან ქართველებს გვევლება, რადგან ჩვენ შედარებით უკეთეს პირობებში ვართ. ჯერ ჩვენ უნდა გავუწოდოთ ჩვენ ძმებს სრულგონი და დახმარების ხელი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი გული ამას იგრძნობს, რომ ეროვნული ცეცხლი, მთ გულში დღეს ჩაფერფლილი, კვლავ აღტყინდება და ეროვნული თვითშეგნების დამაბრკოლებელ მიზეზებს მოსპობს. **ი. უიფშიძე**

ვინ სწავრა ძარბოვალ მაჰმადიანთა შუახებზე?

ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა—
 ზარეკლად რამდენიმე სიტყვით მოახსენია თურქთაგან პურობელი ქართველი და მათი ცაქმაცხადი-ახების ცნობები სხვა და სხვა ნაწერებში.

ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ—
 ჟერ იმეზაფრა ქართველ ჰაქმადიანებში. ზირეკლი ამის წიგნი იყო რუსულს ენაზე დაბეჭდილი პეტროგრადს საბეცნიერო აკადემიისგან, რაქვე-ალაგაურთი მოგზაურობა გურასას და ჰარასში, რომელიც ისტორიკოსმა აკად. მარე პრასეს უდგანა. ზირეკლად იმოგზაურა იმ ღრას, როცა სხუნებელი კუთხე ისევე დ. ზ. ბაქრაძე ოსმალთ ეპურათ, მერედ 1879 წ. თავის ზმოგზაურობა აბადისში წაიკეთას.



გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგმა—
 მთაგრბობის მონდობილობით იმოგზაურა იმ ღრას, როცა სხუნებელი კუთხე ისევე ოსმალთ ეპურათ. მან დასწერა თვისი მოგზაურობა, სახელადობ: „სამი თვე ოსმალეთის საქართველობაში“, რომელიც წიგინც დღესაც სასაქალითო წიგინად ითვლება. მერედ ამისი შრომა ვრცელი სასხედრო მიმოხადვა „დასისტახის სასაქაფაე. მეტად იშვიათია დღეს ეს წიგნი.



გიორგი ყაზბეგის მოგზაურობას მეტად სანტერესო ისტორია აქვს; თვით ქართველ მაჰმადიანების ბურს ამბებს მოგვითხრობენ. გ ყაზბეგი ზირეკლად გურთის მთავარისძის გრთოდ გურთელის მადამი იყო, როგორც მსახურნი უოგელ ცნობებს თურმე საადუშლოდ სწრად.



ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძემ

დასწერა თვისი მოგზაურთა-
ბა საქართველოდამ ევროპა-
ში სსხელდობრ „სსხვთა შო-
რისა, რომელიც მო-
თავსებულა 1873 წ. შურ.
კრებულში“. ერთ თავი ბ.
ნიკოლაძე ოსმალეთის
საქართველოს და ქართველ
მკვლევანებს ადგიწერს
დახსენებულით.



პეტრე იოსების ძე უმიკაშვილმა—
კდმოადო გ. ვაზბეგის წერილები, რაც ჯიბუკ-
ლებობა 1878 წ. გაზ. „ივერია“-ში.



**სერგი სვიმონის ძე
მეხს** დიდი შრომა და
ამაგი მიუძღვის. 1877 წლუ-
ბიდან, ომანიობის დროს,
ქართველ მკვლევანებში
ორჯულ იმეზაურა და მთ-
ხე ბუფრინ სწერა.

ივანე მეუნარგიამ სამისიონერო საზ-ის
დაჯეოთი მოგზაურა სამხრულმანო საქართველო-
ბი. თვისი მოგზაურობა გაცხდა სამისიონერო
საზოგადოებას.

**ილია გრიგოლის
ძე ჭავჭავაძე**—სწერდა
გაზეთ „ივერია“-ში ქრ-
თველ მკვლევანთა ცხოვ-
რების შესახებ და ამტ-
კიებობდა, რომ იგიბი
ჩუნი ძეგბა არიან და
საჭიროა დაჯეუმართო.



გ. წერეთელი—გაზ. „ივერია“-ში.
გ. გუნია—დიდით ხელს უწერობა მთ და-
ხსლოვებას.

აკაკი დიდ შურად-
ლებას აქცევდა ქართველ
მკვლევანებს და როცა
კრებულთა-ს გამოცემა
დაიწყო, ამ შურნაღში
მთ შესახებ ათავსებდა
სხვა და სხვა წერილებს.
ბოლოს ქაბულეთიდან
დემურტადი ეწვია აკაკის,
სითხვეს მოგზაურობა მთელ სამხრულმანო სა-
ქართველოში, ზოგუი ფიქრობდა კიდმც მოგ-
ზაურობას, მაგრამ ეს აღარ დასცლდა.



თედო სახოკიამ იმოგზაურა გურთა-სა-
რამი, აღწერა და შურ. „მთაბე“-ში მოათავსა.

ვინმე მეხმა (ივანე გვარამაძემ)—სწერა
სხვა და სხვა თავის წიგნებში.

ნიკ. ცხველაძე გულშურაფელ დაჯეგუ-
და თვალურს ქართ. მკვლევანთ ძეგს სწავ-განა-
თლებასსაქმეს ამის მეგდინეობით 1880 წ. მუხ-
რან-ბარკნმა ორი სტიპენდია გაუჩინა გულ-
ადა კაიკაციშვილის შვილს ისმიადს და დედი
ადა ნიჭარაძეს შვილს რეკვანს.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი—
ხშირად სწერდა ქართველ მკვლევანთა შესახებ
სხვა და სხვა ქართულ გაზეთებში.

ნიკოლოზ ზარმა, აჯდემიკოსმა,
—იმოგზაურა მთელს ოსმალეთის საქანთ-
ველოში, შუკრება სხვა და სხვა ცნობები, აღ-
წერა თვისი მოგზაურობა, რაც ცალკეა დაბეჭ-
დილი და სეურადდებო განბია ჩუენს შუკრლო-
ბაში ქართველ მკვლევანთა შესახებ.

ალექსანდრე თევდორეს ძე ეიფშიძე
მესხეთ-ჯავახეთში მსახურებდა მომრიგებელ-
შუამავლად (1899—1904 წ.). იქ მსახურო-



ბის დროს გაეცნო ქანთ-
ველ მკვლევანთ ცხოვრე-
ბას და მალე მთ შესახებ
ქართულ გაზეთებში კარგი
წერილები მოათავს. უკა-
ნასსკელ დროს ცალკე წიგ-
ნად გამოვიდა (1914 წ.)
მისივე წიგნი „ადიდებული
მესხეთია, რთაც დაწერია
დიდს სეურადდებო ცნობებს იძლევა ხსენებულ
ხალხისას.

ილია ფერაძე—სწერს სხვა და სხვა წე-
რლებს, ერთი ამის მოთხრობა უჯდეგა, ქარ-
თველ მკვლევანთა ცხოვრებიდან ცალკე წიგნად
დაიბეჭდა 1901 წ მანგე დასწერა ზოგმა: „მე
და ქართველი მკვლევანთა“ (კაჩხათლება:
№ 4, 1915 წ.)

ს. ფირცხალავა ხშირად სწერდა და
სწერს კადმც წერილების ქართველ მკვლევანთა
შესახებ. ახლახან ლექციების კითხვა დაიწყო
„სამკვლევანო საქართველოზე“.
ქართველ მკვლევანთაგან ქართულ გაზე-
თებში სწერდენ:

გულო ალა კაიკაციშვილი— ჯერ
ბათომი ოსმალეთის ხელში იყო, რომ 1875 წ.
გაზ. „იდეობა“-ში ბეჭდვად წერილებს.

აბდულ ეფენდი მიქალაძე—ოსმალის
მთავრობის დროსვე დიდი გულშემბეჭეობარი და



მცოდნე იყო ქართულ წერ-კითხვის, შეერთე-
ბის დღიანი იგი პატარ-პატარა წერილებს სწერ-
დაც კაზ. „დროება“-ში და მისი პერეკლეპობა-ში,
ბუერს შეხმარებოდა წიგნების გარეკლებების
საქმეში.



მემედ ბეგ აბაშიძე —
განათლებული ქართველი
მაჰმადიანი, პირველ დაწყე-
ბითი სწავლა ბათუმის ქარ-
თველების სკოლაში მიიღო.
სხვათა შორის სთარეპედაც
ოსმალეთის ენიდან ბიესა
„სამშობლო“ (დაბეგად

„მთაბეგა“-ში). ნათარგმნი აქვს სხვა ბიესებიც.

ზაიდარ ბეგ აბაშიძე — განათლებული
ქართველი მაჰმადიანი, პირველად წერა დაიწყო
თბილისი გაზეთშია დაღეს სხვა და სხვა ქარ-
თულ გაზეთებში მწერლობის. მისწავლებულია.

ზიან სხვა ქართ. მაჰმადიანი მწერლებიც.
ქართულ მაჰმადიანი ქვეყნებში უცხო
ქვეყნისა და ტომის სწავლულებიც მოკაზურობ-
დებიან და აღწერდებიან მათ ქვეყნებს. ასეთია ზიანის
დიოხი და-მთმარე, სენ შარტენი, რეკლიუ,
ლიოზენი და სხვანი.

ედუარდ კარლოს ძე ლიოზენი, შვეი-
ცარიელი სწავლული, თბილისის კლასიკურ



გიმნაზიის ფრანგულ ენის
მასწავლებელი. რამდენ-
ჯერმე იმოგზაურა ოსმალე-
თის საქართველოში, აღ-
წერა იგი დაწერილებით,
გადაიღო მრავლად სხვა
და სხვა სურათები და მათ
ში დიდარი კოლექცია
შეადგინა. ცალკე წიგნად

დასტამა მესხეთის ლახიტიანის აღწერა, რაც
პირველ სამაგალითო საქმედ უნდა ჩაითვალოს
ჩვენს მწერლობაში. ლიოზენს ქართულ მაჰმა-
დიანი შესასებ ბუერს რამ წაწერა იქვე დასა-
ბეგად მოაზარებელი.

რუსთაგან იმგზავრეს გრაფმა უგაროვმა,
შერე მისმა შეუდგემ, ზაგარსკამ, ვეიდენბაუმმა
და სხ. უვედა ესენი ქართულ მაჰმადიანებს
ქართველებად მოიხსენიებდნენ.

მე მოგზაურება დაიწყო 1889 წ. და
წერილებს ვით ვსებდი გაზეთებში.

ქართულ მაჰმადიანთა შესასებ მე დაგებულა:

- 1) მოკლე ისტორია ოსმალეთის უთფილი სსა-
ქართველთა, 2) ქართულ მაჰმადიანთ მუქეჟირი-

Довзлено Военной Цензурой

გადასახლება და მ) ქართველ მაჰმადიანთ სთა-
ლები საქართველოში.

დაუბეგლანი მაქვს ოცნადე სხვა წიგნი.

რომელი ვაზ უფრო ეტებოდა ამით
ცხოვრებას? „ბათუმის ვაზეთი“ პირ-

ველ ნომერიანვე შეეცა ზნარელ ცხოვრე-
ბის და მის შესახებ აქ სხვადასებებოდა
წერილები რეაქტორის ა. ჭვლიძისა და
ისევე ამ გაზეთმა ბუერს ქართულ მაჰმადიანს
შეასწავლა წერ-კითხვა, შეაუჯარა გაზეთის კით-
ხვს და სომხ მწერც დაიწყო ამ გაზეთში. ამ
დაზეთში მოკრთა ჩემი წერილები დაბეგად
100-ზე მეტი სსამი წლის განმავლობაში ფელეტო-
ნებად, რასაც ქართველი მაჰმადიანები დღის
ხალისით კითხულობდნენ თურმე. **ზ. ჭიჭინაძე**

ძაბთ. სკოლების გახსნას ძაბთშილი მაჰმადიანები

თ ვ ი თ რ ვ ვ ე თ ს რ უ ლ რ ბ ა მ . სახალხო ფურ-
ცელში“ (№ 310) მასწავლებელი მიხ. კანუფევი
იწერება: „ქობულეთის სასოფლო საოლქო სასამარ-
თლოში შეიკრიბნენ ქართველ მაჰმადიანების რვა სო-
ფლის წარმომადგენელი და გამოიტანეს შემდეგი
დადგენილება:

1915 წლის მაისის 12 დღესა, ჩვენ, ქობულე-
თის სოფლის ოლქისა, კინტროპის მახლობლ, ბათუმის
ოლქის მცხოვრების რწმუნებულნი შევიკრიბეთ
ქობულეთის სასოფლო საოლქო სასამართლოში და
ქობულეთის მამასახლისის თანადასწორებით შემდეგზე
მსჯელობე მსჯელობა: დღიანი ბათუმის ოლქის რუ-
სეთთან შეერთებისა, სკოლის საქმე ჩვენში რიგიანდ
ვერ მიდიოდა. ამ დამად ხალხმა შეიგნა სკოლათა
გახსნის საკითხება და აუცილებლობა, თანადგომით
ეკიდება ამ საქმეს. ეს გარემოება ჩვენს თობას სა-
შუალებას მისცემს გაუთანასწორდეს და გვერღმე
ამოუდებს მცხოვრებთ, რომელთაც უკვე ჰქონათ
სკოლები. ჩვენ, ქობულეთის მცხოვრებნი, ქართველები
ვართ, ხლო მაჰმადიანური საწმუნებობისანი, ჩვენი
სამშობლო ენა ოსმალეთის მფლობელობის დროსაც და
დღესაც ქართული ენა ყოფილა და არის. ჩვენ და
ჩვენს ბავშვებს მშობლო და მშობლოდ ქართული ენა
ვეცემის. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ჩვენს
სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე იყოს. ეს საკით-
ხოდა და აუცილებელი არა მარტო პედაგოგის მხრით,
ბავშვებისათვის რუსული ენის შეთვისების გასაადვი-
ლე“ლად, არამედ საჭიროა ბავშვების, მოსწავლეთა
სკოლაში მოსაზიხადდე. როდესაც ჩვენ, მშობლები,
დაინახაუო, რომ სკოლებში ჩვენს მშობლოდ ს ქარ-
თულს ასწავლიან და მისი მუხებით ბავშვები კარგად
შეითვისებენ სახელმწიფო რუსულ ენას, სიამოვნებით
მივა“არებთ შეიღება სასწავლებელში და არსებული
სკოლები დღევანდელი მფლობელი აღარ იქნება.
ეველა ამიტომ უნებოდ ვაღიქვით ამოღვე ვიშუამლო-
ზლოთ სთავანდ სამოსწავლო მწავლელობასთან,
რომ ჩვენს ოლქში შემოღებულ იქმნეს ქართული ენის
სწავლება. ამისათვის ჩვენს დადგენილებას ვუბნავით
მე-მ-რათონის მნიშვნელოვანობა.

რეაქტორ-გამომცემელი ანნა ინიდაშვილის

ქართველ მაჰმიდიანთა ლექსები

ყაჩაღის სიმღერა

(სეზენია გავალიძის მიერ თქმული)

თავგი და კატა

(თქმული საილე აღანიძის მიერ)

დავჯდომ და წიგნი დავწერო,
ჩიტ გავტანო ხებრათა:
აგი საყვარელ მუხტანე,
ველარ ვესტუმრე ჩქარათა.
აბღულბეგი ზალიან მეზებს,
ამდგარი არის ჯარათა.
იმას-და ვეღარ ვესტუმრე,
კურცხალი მომდის ღვარათა.
ერთი გოგონე აი დამჩა,
ნუღ მანახავთ-და ბევრათა.
მე რომ მოვეკდე, სხვას მიეცით,
მე რომ მჯობდეს თვალტანათა.
ჩემი ყაზა და ქემერი
თან გავატანოთ ზითვათა.
სელამსა რომ შამოგივლი
გამომფრინავალ ჩიტათა.
ეს-და ზალიან შენატარება
მე, რომ სული სიმწარითა.
ქვეყანა მტერად ემიღგა,
მონღობილი ვარ გულითა.
შენც რომ აღარ მიკადრო,
დემეტყვება-და ენითა.
სათუთ ბატონმა მომწერა:
„შენი ვარ ღმერთის ემრითა.
ეველი არ გევეთხუები,
სიტყვას გირიგი გულითა.
საყვარელ, კარგა დემამოღვი,
არ მომიკლან ყურმუმიითა.
ოჲ, მიხი სულის ჭირიმე!
ლომპზია დვალტანათა.
რა ჩეთინია გულის სევდა!
სულის სიმწარით დავდნები.
გულში მერაყ რომ ჩამეღდებ,
გაბუკვილივით დავჯდები.
მე თუ სხვა ქალს შევხედო,
გემიქორდს-და თვალები!
ან და ყალა სხვამ ითხუოს,
უმისოდ რაფერ დავდგები?
საყვარელ, შენი ჭირიმე,
ამოგაკონო-და თვალები!
შენ მართო, მე სხვა არ მინდა,
ას ოთხ ჭითამ გეფიცები.

თავგი ავად გამხდარიყო,
კატა მივლოდა სანახავით:
— „რა გქირს, ჩემო ყურჩქმეტიავ?“
— „შე რა გინდა, შე ყურ დილო?“
კატას სიზმარი უნახავს,
ავათ-ყოფი თავგი უნდა.
— „ამ სირაჲ დემეთხუე,
ზალიან სიციცხლე მინდა.
უქეჲფური დემინახე,
ზალიანაც გეგახარდა.
სამ წელიწად რომ ავად ვიყო,
კატის ნახვა მე რათ მინდა?
წაველ ჩემ ხელით მოგიყვან,
რაცხა მეტი თავგი გინდა.“
— „ვოჲ, ვოჲ, შე თავგო,
რას ებლაყუნები?
მე მიგიხედი შენ დუბარას,
სიციცხლიდ-და წასვლა გინდა.
გაპარეთ-და წასვლა განდა.“
ერთი ლესკი გამევეგონოთ,
გურჯული-და სიმღერები!
კატამ თავგი დეიქირა,
ჩამოკაკლა-და ცრემლები:
„შვილები ჭეთიმად დამჩრჩენ,
არ ვის არ შევებრალეები.
ხეს და ქვას შევებრალეები
ახლა რალაი უნდა ექნა?“
დაჯდა, ერთი მეტირა.
თავგი კატას მიჩემდა:
„შიშმა შიადნო ბარკალი.
ამ ლესკისა გამოთქმელსა
ქვანელს ეტყვიან ფირალსა.
ამ ლესკისა გამოთქმელი
ნახეღარზე ბერაო,
კატას და თავგ ვან უკურა?
სულთელი-და ტყვილიაო.“



უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულს, ინგლისურს, ლათინურს და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანბანი. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ხასხასი ინგლისურ საუკეთესო კალენკარის უდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შეწყული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ბელისმომწერათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შედგავიდაც შეიძლება; ბელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენი—წიგნის გამოსვლის ჟამს).

ბელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში. ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ Юс. Имедашвили.

წელიწადი
მისამმ

მიიღება ხელმოწერა 1915 წ.
ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

წლიურად 5 მ.
ნახევარი
წლით 3 მან.

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარუებით

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულებების გარეშე ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, კანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევის. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადც შეიძლება; ბელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1;

ელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსაქაროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძამაშიასთან, ქუთაისში თ. მთავრამიძის წიგნთსაქაროში ს. ეპიტაშვილთან

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: 1 ევ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის 3 წკარი ერთ სვეტზე 25 კ. მან.—20 კ. 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Юсифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა